პროლეტარელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

5 თებერვალი, კვირა, 1989 წ.
№ 25 (9944) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

დავით აღმაშენებლის ზეობის 900 წლისთავთან დაკავშირებით 8 თებერვალს თბილისში ჩატარდება სპორტმასობრივი ღონისძიებები:

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კალათბურთი. უნივერსიტეტის სპორტული დარბაზი. უნივერსიტეტისა და ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტ ქალთა გუნდების ამხანაგური მატჩი (დასაწყისი 14 საათზე);
უნივერსიტეტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის ვაჟთა გუნდების შეხვედრა (19 სთ.).

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი

წყალბურთი. პოლიტექნიკური ინსტიტუტის საცურაო აუზი. უნივერსიტეტი-პოლიტექნიკური ინსტიტუტი (16 სთ);
მშვილდოსნობა. № 1 სპორტული დარბაზი. საჩვენებელი გამოსვლები (12 სთ);
კლასიკური და თავისუფალი ჭიდაობა, ძიუდო. № 2 სპორტული დარბაზი. საჩვენებელი გამოსვლები (12 სთ);
ათლეტიზმი. სიმძიმეების აწევა. № 1 და № 2 დარბაზებში შეჯიბრებების დროს შესვენებისას.

უცხო ენათა ინსტიტუტი

ფრენბურთი. ინსტიტუტის დარბაზი. უცხო ენათა და ზოოვეტერინარული ინსტიტუტების ვაჟთა და ქალთა გუნდების შეხვედრა (12 სთ).

ფიზკულტურის ინსტიტუტი

კალათბურთი (გოგონები). **მინიფეხბურთი.** №1 და №2 დარბაზები (17 სთ).

იხ. მე-2 გვ.

ახალგაზრდული შემადგენლობით

ამ დღეებში პარიზში დაიწყება ძიუდოისტთა დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც საბჭოთა კავშირის ნაკრების ხელმძღვანელობა ახალგაზრდა ათლეტებს გამოსცდის, მათ შორის თბილისელ ვალერი პარუნაშვილს (მან ამას წინათ საკავშირო ჩემპიონატში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა), ორჯონიკიძელ დავით ხუბულურს, რიგელ ვადიმ ვოინოვსა და სხვ.

მწვრთნელები გარკვეულ იმედებს ამყარებენ ჩვენს ქალებზეც, კერძოდ, საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონებზე ლვოველ ტატიანა გავრილოვასა და რიგელ ვიქტორია გორდეევაზე. აგრეთვე ქვეყნის ჩემპიონებზე ჩელიაბინსკელ სვეტლანა გუნდარევკოსა და ლენინგრადელ ელენე ბესოვაზე.



მოგება — სტარტზე

ხარკოვსა და ალმა-ათაში დაიწყო უმაღლესი ლიგის წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატი.

თბილისელი დინამოელები ასპარეზობენ ხარკოვში, სადაც თავიანთ მოსკოველ თანაკლუბელებთან, კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილიის (კწფ, ბაქო), შავი ზღვის წითელდროშოვანი ფლოტის არმიელთა სპორტული კლუბის (შწფ, სევასტოპოლი), სამხედრო საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტული კლუბისა (სსფ ცსკ, მოსკოვი) და ადგილობრივი „ლოკომოტივის“ გუნდებთან ერთად გამოდიან.

თბილისელთა გუნდს სათავეში უდგას უფროსი მწვრთნელი გივი ჩიქვანაია.

ჩემპიონატის სტარტზე თბილისელები სევასტოპოლელთა გუნდს შეხვდნენ და გაიმარჯვეს 6:5.

გამარჯვება ვილნიუსში

ვილნიუსი. უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგ კალენდარულ შეხვედრაში ადგილობრივმა „სტატიბამ“ თბილისის „დინამოს“ უმასპინძლა. ათიოდე დღის წინ ეს გუნდები ორჯერ შეხვდნენ თბილისში ერთმანეთს და ორივე შეხვედრა მაშინ ვილნიუსელმა კალათბურთელებმა მოიგეს.

ამჯერად „დინამომ“ გაცილებით უკეთ ითამაშა და, მიუხედავად იმისა, რომ პირველი ტაიმი 11 ქულით წააგო (42:53), შეხვედრა თავის სასარგებლოდ დაამთავრა 84:75.



გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 4 თებერვლისათვის				
„დინამო“ (მოსკოვი)	24	14	10	38
ახკ (ალმა-ათა)	22	15	7	37
ცსკა	19	15	4	34
„კალევი“	22	9	13	31
„დინამო“ (თბილისი)	21	8	13	29
„სტატიბა“ (ვილნ.)	19	9	10	28
„სპარტაკი“ (ლენინგ.)	22	6	16	28
„სტროიტელი“ (კიევი)	14	13	1	27
რტი (მინსკი)	19	8	11	27
ვეფ (რიგა)	23	4	19	27
„შახტიორი“ (დონეც.)	20	6	14	26
„უალგირისი“ (კაუნ.)	13	12	1	25

დაწინაურდა ქეთევან კახიანი

ტალინში მიმდინარე მოჭადრაკე ქალთა საერთაშორისო ტურნირ „ტალინი-89“-ში მონაწილეობენ (წესისყრის მიხედვით): კაია იანისტე, ტატიანა ფომინა (ორივე — ტალინი), ვიორიკა იონესკუ-ილიე (რუმინეთი), რიმა ბილუნოვა (მოსკოვი), ვესნა ბაშაკიჩი (იუგოსლავია), მონიკა ციგანოვა (ტალინი), სვეტლანა პრუდნიკოვა (სარატოვის ოლქი), მარსელა ზოლმანოვა (ჩეხოსლოვაკია), ტულიკი ლაესონი (ტალინი), გულნარა სახატოვა (ალმა-ათა), მიროსლავა შეიკოვა (ჩეხოსლოვაკია), იოჰანნა პაასიკანგასი (ფინეთი), მაია რანიკუ (ტალინი), ოტილია კანტი (რუმინეთი), ლეილი პიარნპუუ (ტალინი), ქეთევან კახიანი (თბილისი).

უკვე გათამაშდა 8 ტური. დაწინაურდა თბილისელი საერთაშორისო ოსტატი ქეთევან კახიანი, მას 6,5 ქულა აქვს (მოუგო იანისტეს, ფომინას, იონესკუ-ილიეს, სახატოვასა და პაასიკანგასს, დაუზავდა ბილუნოვას, ლაესონსა და შეიკოვას). 6 ქულით ლიდერს კვალში მიჰყვება პრუდნიკოვა. 5,5 ქულა აქვს ციგანოვას.

ორი ლიდერი

წყალტუბოში დაიწყო მოჭადრაკე ქალთა რესპუბლიკური ჩემპიონატის ერთ-ერთი ნახევარფინალური ტურნირი. როგორც იცით, მსგავსი შეჯიბრება გორშიც იმართება და მის მსგავსად წყალტუბოც დაასახელებს ორ უძლიერეს მოჭადრაკეს, რომლებიც საქართველოს ჩემპიონატში გამოვლენ.

წესისყრის მიხედვით მონაწილენი ასე განლაგდნენ სატურნირო ცხრილში: მაია მაჩიტიძე (სამტრედია), ფიქრია კირთაძე (წყალტუბო), ეკატერინე ფახეროვა (ქუთაისი), მიმოზა ჩოგოვაძე (წყალტუბო), ელისო ძიძიგური (სოხუმი), ინდირა წივწივაძე (წულუკიძე), დიანა დარჩია (ბათუმი), ივეტა კურცხალია (ქუთაისი), ეკატერინე გიორგაძე (ცხაკაია), ინგა ხურცილავა (წულუკიძე), მზია ცერცვაძე (ვანი), სოფიკო ტყეშელაშვილი (ქუთაისი), ეკატერინე კემულარია (სოხუმი), ლელა ხუჭუა (სამტრედია), რუსუდან გოლეთიანი (სოხუმი), ლუიზა შალიკიანი (ვანი).

გათამაშებულია სამი ტურის შეხვედრები. ქულათა მაქსიმუმით შეჯიბრებას ლიდერობენ ფახეროვა (მან დაამარცხა მაჩიტიძე, ხუჭუა და გოლეთიანი) და კემულარია (დაამარცხა ჩოგოვაძე, ძიძიგური და წივწივაძე). ლიდერებს კვალში მიჰყვებიან კირთაძე და კურცხალია, რომელთაც 2,5-2,5 ქულა მოაგროვეს. 2-2 ქულა აქვთ ხურცილავასა და ტყეშელაშვილს.

ჭადრაკში ვაჟთა მსოფლიო პირველობის მეოთხედფინალური მატჩები

ამერიკის ქალაქ სიეტლში მიმდინარე ანატოლი კარპოვისა და იოჰან ჰიარტარსონის (ისლანდია) მსოფლიო პირველობის მეოთხედფინალური მატჩის IV პარტია 39-ე სვლაზე ყაიმით დამთავრდა. ამრიგად, ანგარიში გახდა 3:1 მსოფლიოს ექსჩემპიონის სასარგებლოდ. ახლა, დარჩენილ ორ შეხვედრაში მას ნახევარი ქულის მოპოვებაც ჰყოფნის ნახევარფინალურ ეტაპზე გასასვლელად.

• • •

ბელგიის ქალაქ ანტვერპენში მიმდინარე მეოთხედფინალურ მატჩში ლაიოშ პორტიშსა (უნგრეთი) და იან ტიმანს (ჰოლანდია) შორის დაწინაურდა უნგრელი დიდოსტატი — 2:1. პირველი ორი პარტიის ყაიმით დამთავრების შემდეგ მან მოიგო მესამე შეხვედრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის მონაბარი

კარგი დასაწყისი

ნათქვამია, მადა ჭამაში მოდისო. საქართველოს სპორტსმენთა შარშანდელი დიდი წარმატებების შემდეგ ჩვენი ათლეტებისაგან წლეულს მეტი გამარჯვებების იმედითა და მოლოდინით აღვივსეთ. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ჩვენი სპორტსმენები თავიანთი გულშემატკივრების გაწბილებას არ აპირებენ. ყოველ შემთხვევაში, წლევანდელი სპორტული სეზონის პირველსავე თვეს საქართველოს წარმომადგენელთა მონაგარი მეტად შთამბეჭდავად გამოიყურება. თუ გავიხსენებთ შარშანდელი იანვრის მონაპოვარს, მას ბევრად აღემატება წლევანდელი იმავე თვის ნადავლი, რაც აშკარად წინგადადგმული ნაბიჯია.

მაინც, ვინ გახდებოდა ის სპორტსმენი, რომელიც წლევანდელ საკავშირო ჩემპიონატში პირველი ოქროს მედლით გაგვახარებდა? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად მართლაც დიდ ხანს არ მოგვიხდა ლოდინი. პირველი „ოქრო“ სართიჭალელმა კლასიკური სტილის მოჭიდავე გურამ გელეხაურმა (100 კგ) მოგვიტანა. მან მინსკში გამართულ საკავშირო ჩემპიონატში ყველას აჯობა და შარშანდელი „ვერცხლი ოქროზე გადაახურდავა“.

სპატიო კვარცხლბეკზე, გასულ წელთან შედარებით, ერთი საფეხურით მაღლა ავიდა თბილისელი. ბეგი დარჩიაც (82), რომელმაც იმავე შეჯიბრებაზე ვერცხლის მედალი მოიპოვა.

მინსკში დამთავრდა „კლასიკოსთა“ შეჯიბრება და იმავე ქალაქიდან უფრო სახიხარულო ცნობები მოდიოდა. საქართველოს ძიუდოისტებმა აქ გამართულ საკავშირო ჩემპიონატში მედლების ვეება კოლექცია მოაგროვეს. მათ 13, მათ შორის 4 ოქროს, 3 ვერცხლისა და 6 ბრინჯაოს მედალი დაიხაკუთრეს. საქართველოს 36 ფალავანმა გუნდურ პირველობაში მეორე ადგილზე გასულ რსფსრ-ის 65 წარმომადგენელს 5 მედლით აჯობა. ამასთან, ჩვენმა მოჭიდავეებმა ორ წონით კატეგორიაში ფინალური პაექრობა შინაურ საქმედ გაიხადეს. მათ შორის უველაზე პრესტიჟულ, აბსოლუტურ პირველობაშიც, სადაც არც მესამე ადგილი დაუკარგავთ.

ერთი სიტყვით, ქართველმა ძიუდოისტებმა საკავშირო ჩემპიონატების ისტორიაში არნახულ ტრიუმფს მიაღწიეს. კიდევ ერთხელ გავიხსენოთ — ჩემპიონები გახდნენ: თბილისელები ამირან ტოტიკაშვილი (60), გიორგი თენაძე (71), გორელი კობა კურტანიძე (95) და ავთანდილ გუბელაძე (აბსოლუტური).

ვერცხლის მედლები მოიპოვეს: სოხუმელმა ვლადიმერ დგებუაძემ (71), თბილისელმა ანზორ თენაძემ (86) და ქუთაისელმა დავით ხახალეიშვილმა (აბსოლუტური).

ბრინჯაოს მედალოსნები გახდნენ: თბილისელები ბათო ჯიქური (71), ვალერი პარუნაშვილი, ქუთაისელი ავთანდილ გუბელაძე (ორივე — მძიმე წონა), ახმეტელი დავით ბაგაური (86), მარნეულელი ლერი ეორეულიანი (95) და გორელი მიხეილ ხუმარაძე (აბსოლუტური).

საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ შარშანდელ ჩემპიონატში საქართველოს ძიუდოისტებმა მხოლოდ 6 მედალი მოიპოვეს.

საქართველოს წარმომადგენელთა ბეშმარიტი ტრიუმფით აღინიშ-

იხ. მე-2 გვ.

წერილი რედაქციას

დავარქვათ ნონას სახელი

ნონა გაფრინდაშვილის სახელი აგერ უკვე მეოთხედ საუკუნეზე მეტია, არ ქრება მსოფლიო პრესის ფურცლებიდან. ადრეც და ახლაც, ბევრგან, საქართველოში, ახალდაბადებულ ბავშვს ნონას არქმევდნენ და არქმევენ მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონის სპატივცემულოდ. ქართველმა დიდოსტატმა ხომ მთელი ეპოქა შექმნა ქალთა ჭადრაკში და დასაბამი მისცა ქალთა ქართულ საჭადრაკო სკოლას, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა დიდმა პედაგოგმა ვახტანგ ქარსელაძემ.

დიდია ნონას დამსახურება ჭადრაკის წინაშე და ამიტომაც, ვგონებ, უპრიანი უნდა იყოს კიდევ უფრო დავაფასოთ და გავუფრთხილდეთ ლეგენდარული მოჭადრაკის სახელს. როგორ უნდა მოვახერხოთ ეს? ბევრი ვიფიქრე და მგონი ვიპოვე გზა. საქართველოში უკვე მრავალი წელია ეწყობა ქალთა საერთაშორისო ტურნირები, რომლებიც ხშირად ძალიან ძლიერ შემადგენლობას უყრის ხოლმე თავს. ჰოდა, მოდით, ეს ტრადიციული ტურნირი ნონა გაფრინდაშვილის სახელობისა გავხადოთ. ვფიქრობ, ამით საშვილიშვილო საქმეს გავაკეთებთ — გარდა იმისა, რომ ჩვენი სათაყვანებელი მოჭადრაკის ღვაწლსა და სახელს უკვდავყოფთ, თვით ტურნირის ავტორიტეტსაც ერთიორად გავზრდით.

მაშ ასე, თუ ჩემს აზრს მოიწონებთ, ვფიქრობ, არ ღირს ამ საქმის გადადება, მერწმუნეთ, ამით შთამომავლობა დაგვრჩება მადლიერი.

ვახტანგ ფახარაძე,
შრომისა და ომის ვეტერანი.

რედაქციისაგან: *მკითხველის ეს წინადადება უდავოდ იმსახურებს უურადღებას და, ვფიქრობთ, იგი საზოგადოებრივ აზრსაც გამოხატავს. პასუხს ჭადრაკის რესპუბლიკური ფედერაციიდან ველით.*

რუსთავი—სენტ-ჯონსი

დღეს რუსთავში სტარტს აიღებს საკავშირო სპორტსახკომის და კანადის სამოყვარულო სპორტის ასოციაციის ერთობლივი დაუსწრებელი ფიზკულტურულ-გამჯანსაღებელი ღონისძიება, რომლის ორგანიზატორია საკავშირო ტელევიზიოკომიტეტი, გაზეთი „იზვესტია“ და კანადის კომპანია „პარტიციპეიშენი“. საერთოდ კი ამ ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებენ: რიგა—მონრეალი, ნაბერეჟნიე ჩელნი—ოტავა, რუსთავი—სენტ-ჯონსი, ტარტუ — სასკატუნი, ოდესა — ვანკუვერი.

● როგორ მოემზადა რუსთავი აქციის სათანადო დონეზე ჩასატარებლად? ამ კითხვით დავიწყეთ საუბარი ქალაქის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე კარლო ნაჭყებიასთან.

— ჩვენთვის მოულოდნელი და სასიხარულო იყო, რომ საბჭოთა კავშირის ხუთ ქალაქს შორის რუსთავიც დაასახელეს. რამ განაპირობა ეს არჩევანი? უპირველეს ყოვლისა ალბათ იმ ტრადიციებმა, რომელიც რუსთავს აქვს სპორტულ-გამჯანსაღებელ მუშაობაში, მაგრამ აქ მთავარი მაინც ის იყო, რომ სენტ-ჯონსი და რუსთავი დაძმობილებული ქალაქებია. ამ მეგობრობას საფუძველი 1987 წელს ჩაეყარა და ამჯერად საშუალება მოგვეცა ჩვენი კონტაქტები უფრო გავაღრმავოთ.

● და მაინც, ასეთი რანგის მასობრივ-სპორტულ სტარტებში მონაწილეობა საკმაო გამოცდილებას მოითხოვს...

— რა თქმა უნდა. ეს ხელშეკრულება მოსკოვში გავაფორმეთ 1988 წლის 13 ივლისს. ამის შემდეგ რუსთავის თითქმის ყველა საწარმოსა და დაწესებულებაში მუშაობენ საორგანიზაციო კომიტეტები, რომლებიც თვითონ წყვეტდენ თუ რა ფორმით უნდა ჩატარებულიყო ღონისძიება. ჩვენი აზრით ეს მეთოდი ამ მოვლენას უფრო მრავალფეროვანს გახდის.

● როგორ იმუშავებს ქალაქის სპორტული ბაზები?

— ხუთიდან თერთმეტ თებერვლამდე მთელი დატვირთვით იმუშავებს სტადიონი „მეტალურგი“, ქალაქის სპორტული კომპლექსები და ცალკეული მოედნები. ღონისძიებაში შედის აგრეთვე ტურისტული ასვლა იალღუჯის მთაზე. მოსამზადებელი სამუშაოების დროს დიდი დახმარება გაგვწიეს საშეფო ორგანიზაციებმა.

● როგორი პროგრამით წარიმართება შეჯიბრება?

— ხუთ თებერვალს თერთმეტ საათზე „მეტალურგის“ სტადიონზე საზეიმოდ გაიხსნება სპორტული ზეიმი. აქ შეიკრიბებიან ქალაქის სამრეწველო და სასწავლო ორგანიზაციების წარმომადგენლები. გიმართება შეჯიბრებები მინიფეხბურთში, კალათბურთში, სიმძიმეების აწევაში, ბაგირის გადაძალვაში, მაგიდის ჩოგბურთში, ველოსპორტში და მძლეოსნობის სხვადასხვა სახეობებში, დახურვის დღეს, თერმეტ თებერვალს, ჩატარდება საქალაქო კროსი. ფიზიკური-კულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტი იწვევს ყველა მსურველს მასში მონაწილეობისათვის. კროსი სტარტს თერთმეტ საათზე აიღებს ახალგაზრდობის პარკიდან და დასრულდება ლენინის მოედანზე.

● როგორ დაფიქსირდება სპორტული შედეგები?

— ანსამბლების შედეგები ტელექსების მეშვეობით (იგი წინასწარ დადგა საქალაქო საბჭოს აღმასკომში) ოპერატიულად გადაეცემა მოსკოვს, იქიდან კი კანადას და პირიქით.

● რა სარგებლობას მოუტანს ყველაფერი ეს ქალაქს, მის მცხოვრებლებს?

— რუსთაველები დიდი ინტერესით მოელიან ამ სპორტულ მოვლენას. გვჯერა, რომ ღონისძიებების ჩატარების შემდეგ საგრძნობლად გაიზრდება ფიზკულტურის და სპორტის მიმდევართა რიცხვი.

● ცნობილია, რომ კანადაში სპორტული ღონისძიებები ინვალიდებს შორისაც ტარდება, როგორი მდგომარეობაა ჩვენთან ამ მხრივ?

— რუსთავში ფუნქციონირებს ამ კატეგორიის ორი ორგანიზაცია, უსინათლოთა და ყრუ-მუნჯთა მსოფლიო გადიდება. ისინი ამ ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებენ თავიანთი განსაკუთრებული პროგრამით.

● ბევრმა ქალაქელმა დაინახა, რომ ეს ინიციატივა გაიცნო თქვენს ქალაქს, მის ბინადრებს, საბჭოს ვიზიტი ამ ღონისძიების წინა დღეებს დაემთხვა...

— ოთხი დღეა რაც დავბრუნდით სენტ-ჯონსიდან, მოხიბლული ვართ კანადელთა სტუმართმოყვარეობით, უშუალობით. მათთან განსაკუთრებით დიდია ამ მოვლენისადმი ინტერესი, მაღალ დონეზეა მისი რეკლამირება. ძალზე გაგვახარა იმ ფაქტმა, რომ ამერიკის კონტინენტზე, ქალაქ სენტ-ჯონსში იქნება ქუჩა, რომელიც ამერიდან რუსთავის სახელს ატარებს.

წლევანდლიდან ორმხრივი შეთანხმებით მსგავსი ღონისძიება ყოველ წელიწადს გაიმართება და ტრადიციად იქცევა, ეს კი ხელს შეუწყობს საბჭოთა და კანადელი ხალხის უფრო დაახლოებას და მასობრივი სპორტის პოპულარიზაციას.

გოჩა კავილაძე,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტი.

სსრ კავშირი — კანადა: მეგობრობის მერიდიანები

თვის მონაგარი

კარგი დასაწყისი

(დასასრული)

ნა თბილისის XXVIII საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაშიც.

ამ შეჯიბრებაში მსოფლიოს ორი უძლიერესი ჩვენი ფალავანი — ლერი ხაბელოვი და დავით გობეჯიშვილი — არ მონაწილეობდა და, ერთი შეხედვით, ძნელი ჩანდა საქართველოს წარმომადგენელთა მიერ შარშანდელი შედეგის (5 მედალი, გუნდური მეორე ადგილი) გამეორება, მაგრამ მათ მაშინდელი მაჩვენებელი არა თუ გაიმეორეს, ბევრად გადააჭარბეს კიდეც. საქართველოს მოჭიდავეებმა 2 ოქროს, 5 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედალი დაიხაკუთრეს.

საქართველოს ფალავანთაგან საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ თბილისელი გოჩა მაკოევი (62) და საჩხერელი ზაზა თურმანიძე (130).

მეორე პრიზიორები გახდნენ: თბილისელები ზურაბ ტატუაშვილი (52), გოჩა გაბოძე (68), ეროსი ელოშვილი (74), ხოხუმელი ეგია მუსოიანი (57) და საჩხერელი ზაზა ტყეშელაშვილი (100).

მესამე ადგილზე გავიდნენ: თბილისელი ავთანდილ გოგოლიშვილი (82), ონელი მამუკა რაზმაძე (90).

წლევანდელი სეზონი კარგად დაიწყეს ბაკურიანელმა მოციგავეებმა ლევან თიბილოვმა და კახა ვახტანგიშვილმა. მათ ჯერ გფრ-ში გამართულ იუნიორთა შორის მსოფლიო თასის გათამაშების ეტაპზე ყველას აჯობეს ორადგილიანი ციგით ასპარეზობაში, მერე კი იგლსში (ავსტრია) ასევე იუნიორ მოციგავეთა ევროპის პირველობაზე მეორე ადგილი დაიკავეს.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქებში ზაარბრიუკენსა და დასავლეთ ბერლინში გამართულ მინიფეხბურთელთა დიდ საერთაშორისო ტურნირში წარმატებით იასპარეზეს თბილისის დინამოელებმა, რომლებმაც მესამე ადგილები დაიკავეს. ამასთან, ტურნირის საუკეთესო მოთამაშისა და ბომბარდირისთვის დაწესებული პრიზები თბილისელ გრიგოლ ცაავას გადასცეს, რაც, რა თქმა უნდა, სასიხარულო ფაქტია.

ახლა ისღა დაგვრჩენია, თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებს ასეთი და უფრო მნიშვნელოვანი წარმატებები დიდ ფეხბურთშიც ვუსურვოთ.

სსრ კავშირის პირველობა კალათბურთში ● I ლიგა

ქულები—სანახევროდ

8 და 9 თებერვალს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელ ქალთა კოლექტივი ბავშვთა კალათბურთის სასახლეში (ციროვის პარკი) პირველი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მორიგ მატჩებს ჩაატარებს კაუნასის „ბანგასთან“. ძირითად შეშადგენლობათა შეხვედრები დაიწყება 18 საათზე.

ამ დღეებში კი ჩვენი რესპუბლიკის ქალთა გუნდი შეხვდა რიგის ტტტ-ს გუნდს, რომელიც დღეს პირველ ლიგაში იბრძვის და ცდილობს დაკარგული პოზიციების დაბრუნებას ისევე, როგორც წლების მანძილზე უმაღლეს ლიგაში მოთამაშე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივი.

თბილისელები ამჟამად სატურნირო ცხრილის შუაში იმყოფებიან და ამიტომაც ყოველ ქულას, ყოველ გამარჯვებას მათთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. უნდა ითქვას, რომ ორივე შეხვედრა დაძაბულ ხასიათს ატარებდა. პირველ მატჩში, მაგალითად, გამარჯვებული უკანასკნელ წუთებზე გამოვლინდა და კარგია, რომ პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტსმენებმა წარმატებას მიაღწიეს — 82:80.

განმეორებითი მატჩიც უაღრესად მძაფრი გამოდგა, მაგრამ გამარჯვება წილად ხვდათ სტუმრებს — 76:70.

სპორტული მოედნების მაგივრად

ლახტის წრეში — ტალავრები და სეფები

პატივცემულო რედაქცია, არ გვინდოდა თქვენი შეწუხება, მაგრამ სხვა გზა არა გვაქვს. თქვენ იმის შესახებ არ დაგჭირდებათ, რა ყურადღება, ექცევა დღეს ფიზკულტურასა და სპორტს. მაგრამ, სამწუხაროდ, ქუთაისში, ნიკეას ქუჩის №44-ა სახლის მობინადრეებს ძვალსა და რბილში აქვთ გამჯდარი, რომ სპორტულ მოედნებს ჯობია ძველებური ფაცხები და ეგრეთ წოდებული ტალავრები. ამის გამო ისედაც ერთი მტკაველი ეზო ჩახერგილია ავტომანქანებით, ფაცხებითა და ტალავრებით. გაგიკვირდებათ, რომ ამხელა მიკრორაიონში არსად ფრენბურთის ბადეც კი არაა გაჭიმული, სამაგიეროდ ყოველ შაბათ-კვირას „გადაჭიმულია“ სიფები და მიდის შეჯიბრება... ღვინის სმაში. ჩვენ კი, ბავშვები, ბურთით ხელში ვდგავართ და ვუყურებთ ამ სანახაობას. ვის არ მივმართეთ ჩვენი გაჭირვების შესახებ, მაგრამ უურადღება არავინ მოგვაქცია (სახლმმართველი ხინაურიძე). ნუთუ არავინ დაინტერესდა, საიდან მოვიდა ამდენი რკინა, ცემენტი. დილიდან გვიან ღამემდე მიმდინარეობს შესადუღებელი სამუშაოები. ამის გამო ტელევიზორებსაც ვეღარ ვრთავთ.

პატივცემულო რედაქცია, არ იფიქროთ, ანონიმური წერილების წერა გვიყვარდეს, მაგრამ გვარი რომ მოვაწეროთ, როგორც ჩვენ, ისე ჩვენი ოჯახის წევრებს, მეზობლებისგან დიდი უსიამოვნება გველის.

ძვირფასო რედაქცია, ძალიან გთხოვთ ნუ დატოვებთ ჩვენს წერილს უყურადღებოდ, წინასწარ გიხდით მადლობას.

ნიკეას ქუჩის 44-ა სახლის ნორჩი მობინადრეები.

რედაქციისაგან: როგორც წესი, რედაქციაში შემოსული წერილი, თუ იგი ხელმოწერილი არ არის, არ ქვეყნდება. ჩვენ ფაქტი გადავამოწმეთ და წერილსაც ამიტომ ვაქვეყნებთ. იმედია, ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოები ყველაფერს გააკეთებენ, რომ ეზო მოზარდებს დაუბრუნდეს.

პასუხი „ლელოს“ — ქმედითობა

„მასოგრიოზა მაინც არ იგრძნობა“

ამ სათაურით 7 იანვრის „ლელოში“ გამოქვეყნებული კრიტიკული შენიშვნები, რომლებიც ეხებოდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ფიზკულტურული ღონისძიებების ჩატარებას ზამთრის არდადეგების პერიოდში, ოქტომბრის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების საბჭოს სხდომაზე განვიხილეთ.

მე-3 საშუალო სკოლის დირექტორს გ. მჭედლიძეს მიეცა შენიშვნა, დირექტორის მოადგილეს კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის დარგში ფ. მილორავას და ფიზკულტურის უფროს მასწავლებელს ვ. გავრილოვს მკაცრად მეეთითათ.

ს. მელაძე,
თბილისის ოქტომბრის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგის მოადგილე.

საკრედიტო ავტოსპორტსმენების წარმატება

დოსაფის ორგანიზაციებში

საქართველოს დოსაფის რესპუბლიკურ სპორტულ-ტექნიკურ ბაზაზე ჩატარდა საქართველოს სსრ პირად-გუნდური პირველობა ავტომრავალჭიდში, რომლის პროგრამაში შედიოდა ავტომანქანებით ჩქაროსნული მანევრირება და საწვავის ეკონომია, სლალომი, სამკილომეტრიანი კროსი, ცურვა და მცირეკალიბრიანი შაშხანით სროლა. ასპარეზობაში მონაწილეობდა რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების 10 გუნდი. თითოეული გუნდის შემადგენლობაში გამოდიოდა ორი ავტოსპორტსმენი..

გუნდურ შეჯიბრებაში, როგორც მოსალოდნელი იყო, პირველი ადგილი დაიკავა საქართველოს მრავალგზის ჩემპიონმა, სამტრედიელ ავტოსპორტსმენთა ნაკრებმა გუნდმა.

პირად შეჯიბრებაში ბრწყინვალედ იასპარეზა საქართველოს მრავალგზის ჩემპიონმა და საბჭოთა კავშირის თასის მფლობელმა, სამტრედიის ავტოსკოლის მასწავლებელმა, სპორტის ოსტატობის კანდიდატმა ვაჟა ნიკურაძემ და პირველობა მოიპოვა.

იორამ ნიკოლეიშვილი,
„ლელოს“ კორ.

დავით აღმაშენებლის ზეობის 900 წლისთავთან დაკავშირებით...

(დასასრული)

ზოოვეტერინარული ინსტიტუტი

მკლავის გადაწევა. ინსტიტუტის დარბაზი. მონაწილეობენ ამავე ინსტიტუტის სტუდენტები (12 სთ.).

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი

მინიფეხბურთი. ინსტიტუტის დარბაზი. შეხვედრები ფაკულტეტებს შორის (12 სთ.).

სახელმწიფო კონსერვატორია

მაგიდის ჩოგბურთი. კონსერვატორიისა და თეატრალური ინსტიტუტის შეხვედრა (11 სთ.).

სხვა სპორტულ ბაზებზე

სპორტის სახლი. სიმძიმეების აწევა (11 სთ); ათლეტიზმი (13 სთ); ქართული ჭიდაობა (14 სთ.); მინიფეხბურთი (18 სთ).

განათლების სამმართველოს ჭიდაობის სპორტსკოლის დარბაზი (ბელიაშვილის ქუჩა). ჭიდაობის სახეობებში საქალაქო ტურნირები (16 სთ).

ხელბურთის სპორტსკოლა (გლდანი). საქალაქო ტურნირი ხელბურთში (16 სთ).

„შრომითი რეზერვების“ ცენტრალური დარბაზი. შეჯიბრებები კრივში, ჭიდაობაში, მინიფეხბურთში, აკრობატიკაში, მხატვრულ ტანვარჯიშში, ბატუტზე ხტომაში (11 სთ.).

პროფტექნიკური სასწავლებლების სპორტული დარბაზები

კალათბურთი, მინიფეხბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ფრენბურთი, ჩოგბურთი, ჭადრაკი (15 სთ).

„ბურევესტნიკის“ სპორტკომპლექსი. ღია ჩემპიონატი ხელბურთში ჭაბუკთა შორის (10 და 14 სთ). ღია ჩემპიონატი ცურვაში (9 და 19 სთ).

კრივის დარბაზი (ციროვის პარკი). ღია ჩემპიონატი (15 და 18 სთ). **სპორტკლუბ „ხინათლის“ დარბაზი.** ღია ჩემპიონატი ძალოსნობაში (15 და 19 სთ).

ფარიკაობის დარბაზი (ქავჭავაძის, 49). ღია ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში (17 და 19 სთ).

პროფსაბჭოს მანეჟი (დიდუბე). ღია ჩემპიონატი მძლეოსნობაში (16 და 20 სთ).

დიმიტროვის სახელობის ქარხნის სპორტდარბაზი. ღია ჩემპიონატი სპორტულ ტანვარჯიშში (9 და 12 სთ).



ჭადრაკის მოყვარულთა საყურადღებოდ!

8 თებერვალს, თბილისის სპორტის სასახლეში მოეწყობა ერთდროული სეანსი. ჭადრაკის მოყვარულებს შეუძლიათ საჭადრაკო დაფასთან პირისპირ შეხვდნენ ჩვენი რესპუბლიკის სახელოვან მოჭადრაკეებს. დასაწყისი 11 საათზე.

ქუთაისის „ტორპედოს“ ემზადება

საქართველოს სპორტულ საზოგადოებრიობას, ჩვენს ფეხბურთის მოყვარულებს დიდად აინტერესებთ ქუთაისის „ტორპედოს“ პერსპექტივები. ეს ინტერესი საფუძველს მოკლებული არაა, ქუთაისის ტორპედოელები კარგა ხანს გამოდიოდნენ საკავშირო ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში, აქ აღზრდილი არაერთი ფეხბურთელი წარმატებით იცავდა თბილისის „დინამოსა“ და სსრ კავშირის ნაკრების ღირსებას და, საერთოდ, ქუთაისი მდიდარი საფეხბურთო ტრადიციების ქალაქია, ამიტომაც ფრიად საყურადღებოა ქუთაისის „ტორპედოს“ დღევანდელი მდგომარეობა. საქინფორმის კორესპონდენტები ი. კაციტაძე და მ. კილაძე ესაუბრნენ გუნდის მთავარ მწვრთნელს, საერთაშორისო კლასის ოსტატს რევაზ ძოძუაშვილს:

— სრული შემადგენლობით ოდნავ მოგვიანებით შევიკრიბებით, გზებზე დიდთოვლობის გამო მრავალმა ფეხბურთელმა ვერ მოახერხა დათქმულ დროზე ჩამოსულიყო პირველ შეკრებაზე. ყამინდობის გამო წვრთნა დარბაზში დაგვეწყო, ვინაიდან ჩვენი სასწავლო ბაზის მინდორი დღემდე ღრმა თოვლის ქვეშაა, დაბა ლესელიძის საწვრთნელ ბაზას კი არემონტებენ, ამიტომ მივემგზავრებით ეშერაში, სადაც სეზონის დაწყებამდე დავრჩებით.

● არის თუ არა ცვლილებები „ტორპედოში“?

— გუნდმა შარშან მოიპოვა პირველი ლიგის საგზური და თითქმის მისი შარშანდელი შემადგენლობა მთლიანად შეინარჩუნა, რაც შეეხება ცვლილებებს, პრესაში უკვე იუწყებოდნენ, რომ ქუთაისიდან თბილისის „დინამოში“ გადავიდა 19 წლის მცველი გია ჩხაიძე, მას შეიძლება შეუერთდეს თავდამსხმელი კახა კაჭარავაც. შევსება კი მნიშვნელოვანი გვაქვს. რუსთავის „მეტალურგიდან“ მოვიწვიეთ მეკარე მამუკა ქორიძე, აგრეთვე, მცველები ალექსანდრე კონდრატიევი, რომელსაც ლანჩხუთის „გურიის“ შემადგენლობაში უმაღლეს ლიგაში თამაშის გამოცდილება აქვს, და გელა კვიტატიანი, ზუგდიდელი ჭაბუკი, რომელიც თბილისის „დინამოს“ დუბლშემადგენლობაში თამაშობდა. იმედი გვაქვს, რომ გაგვიმართლებს ნახევარმცველი გოჩა ბაცაშვილი, თბილისის ფეხბურთის აღზრდილი, რომელიც ულანსკნელ ხანს მეორე ლიგის გუნდში როვნოს „ავანგარდში“ გამოდიოდა. გვეშირდება თავდასხმის ხაზის გაძლიერება, ამიტომაც ასევე მეორე ლიგის გუნდიდან მოვიწვიეთ თავდამსხმელი დავით მახარაძე (მახარაძის „მერცხალი“) და დავით თეთრაული (ცსკა-2). პერსპექტიული თავდამსხმელია ლევან ფესტვენიძე, რომელიც გუნდში წყალტუბოს „შადრევნიდან“ მოვიდა. მშობლიურ გუნდს დაუბრუნდა მცველი ნოდარ ჭელიძე. მან ტრავმები მრჩუშა და ახლა გულმოდგინედ ვარჯიშობს. გვყავს უკანა ხაზის კიდევ ერთი მოთამაშე გრიგოლ თევზაძე. მოვიწვიეთ, აგრეთვე, რამდენიმე ჭაბუკი ჩვენი ქალაქის საფეხბურთო სკოლებიდან.

გუნდის ძირითადი შემადგენლობა მარტისთვის განისაზღვრება, როცა დაიწყება თამაშები პირველი ლიგის თასისთვის. მანამდე კი გავმართავთ საკონტროლო მატჩებს, გავივლით ტექნიკურ-ტაქტიკურ, ფიზიკურ მომზადებას, ერთი სიტყვით, იმედი გვაქვს, სრულ მზადყოფნაში შევხვდებით პირველი ლიგის ჩემპიონატის დაწყებას.

● ხმები დაირხა ქუთაისის „ტორპედოს“ ხელმძღვანელობაში ცვლილებების შესახებ...

— დეკემბრის დამლევს გუნდის მთავარ მწვრთნელად მოწვეული იყო გამოცდილი სპეციალისტი, საკავშირო სპორტსახკომის ფეხბურთისა და ჰოკეის სამმართველოს თანამშრომელი ალექსანდრე კოჩეტკოვი. მას მწვრთნელის უმაღლესი განათლება, უმაღლესი და პირველი ლიგის გუნდებში მუშაობის მდიდარი გამოცდილება აქვს. კოჩეტკოვი იყო ერთ-ერთი კანდიდატი მოსკოვის „სპარტაკის“ მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე. ჩვენს გუნდში მწვრთნელ-მეთრდისტის თანამდებობაზე მოვიწვიეთ წარსულში „ტორპედოს“ ცნობილი ფეხბურთელი ბადრი ფარულავა, გუნდის უფროსად კვლავ რევაზ ბურკაძე იმუშავებს, მწვრთნელად — ჯემალ ხერხაძე.

● შარშან კარგად გამოიჩინა თავი ქვეყნის პირველმა სამეურნეოანგარიშზე მყოფმა საფეხბურთო კლუბმა „დნეპრმა“. პროფესიული კლუბის სტატუსი მიიღეს კიეველმა, თბილისელმა, მოსკოველმა დინამოელებმა, დონეცკის „შახტიორმა“. შეეხებათ თუ არა მსგავსი ცვლილებანი პირველი ლიგის გუნდებს და, კერძოდ, ქუთაისის „ტორპედოს“?

— ფეხბურთელებიც და მწვრთნელებიც მხარს უჭერენ ამ პროგრესულ იდეას, გვინდა იმედი ვიქონიოთ, რომ ჩვენ აქ მდევრის როლში არ აღმოვჩნდებით. დროს არ უნდა ჩამოვრჩეთ. გაამართლებს თუ არა ქუთაისის „ტორპედოს“ საფეხბურთო კლუბი, თუ იგი შეიქმნა, ამას ჩვენი თამაშიც გვიჩვენებს. ჯერჯერობით კი მინდა აღვნიშნო, რომ ქუთაისში დღემდე არ არის ფეხბურთის მოყვარულთა კლუბი, გულშემატკივრებს არა აქვთ შთაბეჭდილებების გაზიარების, ფეხბურთელებთან შეხვედრის ადგილი. თუ არ ვცდები, ასეთი კლუბის შექმნას ჯერ კიდევ შარშან დაგვპირდნენ, მაგრამ ჯერჯერობით ყველაფერი ქაღალდზე დარჩა, გულშემატკივართა კლუბს კი სარგებლობა მოაქვს ყველასათვის, როგორც მწვრთნელების, ფეხბურთელების, ისე გუნდის ქომაგებისთვის. ამ კლუბში შეიძლება ვუჩვენოთ „ტორპედოს“ სტუმრად ჩატარებული შეხვედრების ვიდეოჩანაწერები, გავარჩიოთ მატჩები, გულახდილი საუბარი გავმართოთ გულშემატკივრებთან. და მაშინ, ალბათ, აღარ წარმოიქმნება ფეხბურთთან დაკავშირებული ჭორები. ჭეშმარიტი გულშემატკივრები გამიჯნული არ უნდა იყვნენ თავიანთი გუნდისგან.

დაუვიწყარი

პლატონის ცნობილი სიტყვებით, ადამიანის „საუკუნე“ 70 წელს უდრის. ზუსტად იმდენს, რამდენიც ახლა ვახტანგ ქარსელაძეს შეუსრულდებოდა. ტრაგიკული ის გახლავთ, რომ ვახტანგი დიდი ხნის წინათ, 1966 წელს გამოგვეცალა ხელიდან...

ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა სპეციალისტმა გასაოცარ წარმატებებს მიაღწია. მის აზრს დიდ ანგარიშს უწევდნენ ისეთი წამყვანი მწვრთნელები, როგორებიც იყვნენ პეტრე რომანოვსკი, ისააკ ბოლესლავსკი, ვლადიმერ მაკოგონოვი, ვლადიმერ ზაკი. 1950 წელს რომანოვსკიმ ვახტანგს სთხოვა დროებით დაეთმო მისთვის თავისი ზოგიერთი მოწაფე! ალექსანდრე კონსტანტინოპოლსკი უმნიშვნელოვანესი შეჯიბრებების წინ საგანგებოდ ეთათბირებოდა ქართველ მწვრთნელს, იზიარებდა მის მოსაზრებებს.

დღეისთვის ჭადრაკის ისტორია ვაჟთა შორის 13 მსოფლიო ჩემპიონსა და 12 პრეტენდენტს ითვლის. იყო თუ არა ისეთი შემთხვევა, მსოფლიოში უძლიერესს წოდებისთვის ერთმანეთს ერთი მწვრთნელის აღზრდილები შეხვედროდნენ? ასეთი შემთხვევა არ ყოფილა. ქალთა შორის კი 1975 წლის მსოფლიო პირველობის მატჩში ქარსელაძის ორი აღზრდილი შეხვდა ერთმანეთს — ნონა გაფრინდაშვილი და ნანა ალექსანდრია. რა თქმა უნდა, ისევ სინანულით უნდა აღვნიშნოთ, რომ თვით ქარსელაძე ამ ბედნიერ დროს ვერ მოესწრო. მაგრამ თავისთავად ფაქტი უნიკალურია. ვახტანგ ქარსელაძეს სხვა რომ არაფერი გაეკეთებინა, მისი სახელი მაინც სამუდამოდ დარჩებოდა ჭადრაკის ისტორიაში.

...ვახტანგ ქარსელაძე მოშხიბლავი ადამიანი იყო. იგი მოწაფეებზე (და, პირდაპირ ვთქვათ, ყველა სხვაზეც) მომჯადოებელ შთაბეჭდილებას ტოვებდა. ურყევი იყო მისი ავტორიტეტი. 1947 წლიდან იგი თბილისის პიონერთა სასახლის ჭადრაკის კაბინეტის გამგედ მუშაობდა და სულ მცირე დროის განმავლობაში ნორჩი პირველთანრიგოსნების საკმაოდ დიდი ჯგუფი აღზარდა. მახსოვს, სწორედ ამ დროს ჩვენმა ერთ-ერთმა წამყვანმა მოჭადრაკემ თავისი საჭადრაკო სკოლა დააარსა და ვახტანგს, რომელთანაც ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდა, სთხოვა მისთვის მოწაფეების ნაწილი დაეთმო. სხვისთვის ამის თხოვნაც კი წარმოუდგენელი იყო, მაგრამ უზომოდ გულკეთილ ქარსელაძეს ხომ უარის თქმა არ შეეძლო. დიახ, მაგრამ ჩვენ გავჯიუტდით და ახალ მასწავლებელთან გადასვლა არ მოვისურვეთ. უნდა გენახათ, რა დამაჯერებლად გველაპარაკებოდა ვახტანგ ქარსელაძე და გვარწმუნებდა, რომ ამ ნაბიჯის გადადგმა აუცილებელი და ჩვენთვისვე სასარგებლო იყო. ბოლოს დაგვაჯერა, დაგვიყოლია. გადავედით იმ სკოლაში და ნელნელა ყველანი... ძველ მასწავლებელს დავუბრუნდით.

ვახტანგ ქარსელაძე კარგა ხანს თვითონაც წარმატებით თამაშობდა საქართველოსა და თბილისის ჩემპიონატებში. იგი იშვიათი ჯენტლმენი იყო, მეტად გულკეთილი, და ეს გარეშოება ზოგჯერ... ხელსაც უშლიდა. ერთხელ იგი თბილისის ჩემპიონატის ბოლო ტურში თავის მოწაფეს ხვდებოდა და, თუ გაიმარჯვებდა, საპრიზო ადგილზე გადიოდა. მისი მოწაფისთვის ამ პარტიას არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ვახტანგი სამინლად ღელავდა, ყმაწვილმა რაიმე უკეთური აზრი არ გაივლოსო. ბევრჯერ გაფრთხილა, თუ სრული ძალით არ ითამაშე, სასტიკად დაგსჯი და ჩემს წრეში მოსვლას აგიკრძალავო. პარტია მართლაც მძაფრი გამოდგა, ქარსელაძეს მოსაგები პოზიცია ჰქონდა, მაგრამ მოწაფემ რაღაც შემთხვევითი შესაძლებლობა გამოიყენა და ყაიმს მიაღწია, რომელმაც მის მასწავლებელს... საპრიზო ადგილი დაუკარგინა!

...ვახტანგ ქარსელაძემ აღზარდა დიდად ნიჭიერი ოსტატები—ელისო კაკაბაძე და მანანა ტოგონიძე, მაგრამ განსაკუთრებული სულიერი



აღმავლობა მაშინ დაეწყო, როცა ნორჩ ნონა გაფრინდაშვილთან შეუდგა მუშაობას. ჩვენ არაერთგზის დავსწრებივართ მათს ვარჯიშს. როცა ნონა გაფრინდაშვილი ტურნირში თამაშობდა, ვახტანგს მის პარტიას რა გამოატოვებინებდა!

რამდენ საათს გრძელდებოდა ვახტანგ ქარსელაძის სამუშაო დღე? ამის დადგენა ძნელია. იგი კაბინეტში დილადანვე ცხადდებოდა, მოწაფეთა ერთ ცვლას მეორე ცვლიდა, გრძელდებოდა თეორიის შესწავლა, საკონტროლო პარტიების თამაში. ვახტანგისთვის უცხო არც ეგრეთ წოდებული „ბლიცი“ იყო. ამასობაში კაბინეტს თბილისის წამყვანი ჭადრაკელებიც მოაკითხავდნენ ხოლმე. ზოგს პარტია ჰქონდა გადადებული, ზოგს რომელიღაც ვარიანტი აინტერესებდა, ზოგს წიგნი სჭირდებოდა. ვახტანგს სრულიად ავიწყდებოდა, რომ საჭირო იყო სადილობა. მის მეუღლეს, ქალბატონ თამარს (რომელიც იქვე, მეზობელ ოთახში მუშაობდა), არაერთხელ სჭირდებოდა მისთვის ამის შეხსენება და ბოლოს ძალდატანებაც კი. საღამოს შვიდი საათიდან ვახტანგ ... ...

კვირიდან კვირამდე

„კოვსომოლსკაია პრავდა“ — 1 თებერვალი. „დაცვის გარეშე“. სპორტში, ისევე, როგორც ცხოვრების სხვა სფეროებში, ხდება ცხოვრებისეული კონფლიქტები და ისინი დროულად უნდა გადაიჭრას.

2 თებერვალი. „ასეთი თამაში...“ საუბარი ცნობილი მწვრთნელის მეუღლესთან ცხოვრებისა და ჰოკეის შესახებ.

„ტრუდი“ — 31 იანვარი. „პროფესიონალური ფეხბურთის დადებითი და უარყოფითი მხარეები“. ცნობილმა ინგლისელმა საფეხბურთო მომომხილველმა ფრენკ ტეილორმა ეს წერილი სპეციალურად გაზეთ „ტრუდისთვის“ დაწერა.

„მოსკოვსკაია ნოვოსტი“ — №5. „ძმები სტაროსტინების საქმე“. „ოციანი წლების დასაწყისში მოსკოვის ნაკრები თბილისში ადგილობრივ ნაკრებს ვეთამაშებოდით. მოწინააღმდეგის რიგებში თამაშობდა ნაკლებად ტექნიკური, უხეში მარცხენა ნახევარმცველი... ეს იყო ბერია“ — იხსენებს ნიკოლაი სტაროსტინი.

„ოგონიოკი“ — №3. „მრუდე სარკეების სამეფო“. გარი კასპაროვი საბჭოთა სპორტის შესახებ.

„ნედელია“ — №3. „ოქროს ტიტა“ და კიეველი „მოვერცხლილი ოქრო“. მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის მარკო ვან ბასტენისა და სსრ კავშირის საუკეთესო ფეხბურთელის ალექსეი მიხაილიჩენკოს დიალოგი.

„სპოვეტსკი სპორტი“ — 28 იანვარი. „რეკეტი რეკეტის წინააღმდეგ“. ყოფილი სპორტსმენების ახალი „პროფესია“ მუდმივად ფორმაში ყოფნას ითხოვს.

1 თებერვალი. „ფიზკულტურელთა საუკეთესო მეგობარი“. „დიდი ბელადი“ და სპორტი... იმ წლების ტრაგედიამ არც ფიზკულტურული მოძრაობა დატოვა „უყურადღებოდ“.

შანსი კიდევ არის

ბაიმართა კალათბურთელ ვაჟთა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ფინალური ტურნირის მეორე წრის მატჩები.

პეზარო. მოსკოვის ცსკა იტალიის ამ ქალაქში ადგილობრივ „სკავოლინის“ ხვდებოდა. პირველი ტაიმი სტუმრებმა 5 ქულით მოიგეს (42:37). არმიელთა უპირატესობა იგრძნობოდა მეორე ტაიმშიც და შეხვედრა დამთავრდა მათი გამარჯვებით —82:74. ყველაზე შედეგიანი კალათბურთელები ჩვენს გუნდში იყვნენ: ბერეზნოი (28 ქულა), მიგლინიეკსი (12) და ტარაკანოვი (11).

როგორც ცნობილია, ნახევარფინალში თამაშის უფლება ოთხმა გუნდმა უნდა მოიპოვოს. ისინი 4-6 აპრილს ისპარეზებენ მიუნხენში. სპეციალისტების აზრით 7 ქულა გადამწყვეტ ეტაპზე გასასვლელი იქნება. არმიელებს შეუძლიათ ამ ამოცანის გადაჭრა, ვინაიდან, დარჩენილი ექვსი მატჩიდან ოთხს შინ ატარებენ.

„ბარსელონამ“, რომელიც ჯერჯერობით დაუმარცხებლად იბრძვის, მერვე გამარჯვება იზეიმა. ამჯერად მან თავისი მთავარი მეტოქე, ისრაელის „მაკაბი“ დაამარცხა — 94:70. საბერძნეთის „არისმა“ კი გაიმარჯვა ჰოლანდიაში „ნაშუა დენ ბოშთან“ — 90:85. „ლიმოჟმა“ (საფრანგეთი) შინ დაამარცხა იუგოსლავიის „იუგოპლასტიკა“ — 95:93.

გათამაშების ცხრილი

„ბარსელონა“	8	8	0	16
„მაკაბი“	8	6	2	14
„არისი“	8	5	3	13
„სკავოლინი“	8	4	4	12
„იუგოპლასტიკა“	8	4	4	12
ცსკა	8	2	6	10
„ლიმოჟი“	8	2	6	10
„ნაშუა დენ ბოში“	8	1	7	9

გასწორება

„ლელოს“ 4 თებერვლის ნომერში მე-3 გვერდზე თბილისის „დინამოს“ საფეხბურთო კლუბის ნგარიშსწორების ნომერი უნდა იკითხებოდეს № 000700974. აქვე დავძენთ, რომ მოსწავლეებისა და ჯარისკაცების საწევრო შესატანია 2 მანეთი. სხვა დანარჩენი იხდის 12 მანეთს. კოლექტიური წევრობისთვის კი დაწესებულია არანაკლებ 1000 მანეთისა.

საჭადრაკო კომპოზიცია — ხელმძღვანელი ვასო ნეიძე

დიდოსტატობის კანდიდატი

არავინ დავობს, რომ საჭადრაკო კომპოზიცია ხელოვნების დარგია, თუმცა მისი გარკვეული კავშირი სპორტთანაც აშკარაა. უკანასკნელ ხანებში, როცა ჭადრაკი და კომპოზიციაც ბევრ ქვეყანაში საკმაოდ განვითარდნენ და მათ მოყვარულთა და ქომაგთა დიდი „მრევლი“ გაუჩნდათ, საგრძნობლად იმატა მატჩების, ტურნირების და კომპოზიტორთა შეჯიბრებების რიცხვმა. ამ გარემოებამ კომპოზიციის სპორტული ელემენტი წინ წამოსწია. შესაბამისად გაჩნდა საჭადრაკო კომპოზიტორთა ახალი პლეადა, რომელიც თავისი მოღვაწეობის სპორტულ მხარეს უფრო გამორჩეულ მნიშვნელობას ანიჭებს. მაგრამ პრაქტიკულად ამის განხორციელება ცხოვრებაში მეტად რთულია. ამისათვის ადამიანმა მეტი დრო უნდა დაუთმოს თავის გატაცებას, მაღალპროფესიული მიდგომა გამოიჩინოს შემოქმედებითი მუშაობის დროს და დიდი ჯაფა გასწიოს თავის „ლაბორატორიაში“. მაღალ ნიჭსა და შრომისუნარიანობასთან ერთად ავტორს უნდა მოსდევდეს ფართო ინფორმაციის გადამუშავების უნარი, ძიების ენინი და შედგენის ტექნიკის დახვეწისა და სრულყოფისაკენ სწრაფვა. ასეთი თვისებების მქონე ადამიანები მხოლოდ ერთეულები არიან, ვინაიდან გაძლიერებული კონკურენციის პირობებში მეტ-ნაკლებად რეგულარული წარმატებების მიღწევა მხოლოდ მათ შეუძლიათ.

დღევანდელ გამოშვებაში მკითხველებს გვინდა მოვუთხროთ სწორედ ერთ-ერთ მათგანზე, ვისი დებიუტიც საჭადრაკო ხელოვნების სცენაზე 1970 წელს „ლელოს“ ფურცლებზე შედგა. ეს თარიღი იმითაც არის ღირსშესანიშნავი, რომ სწორედ მაშინ მისი მოგვარე ბუხუტი გურგენიძე პირველი ქართველი დიდოსტატი გახდა. იმ ხანებში, როცა ქართველი ეტიუდისტების მაღალი კლასი უკვე საქვეყნოდ იყო აღიარებული, ახალი სახელის გამოჩენა ბუნებრივი მოვლენა იყო. მაგრამ საკვირველია ის ფაქტი, რომ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სატრანსპორტო ფაკულტეტის სტუდენტმა დავით გურგენიძემ, რომელიც ჭადრაკს ბავშვობაში გარეკახეთის სოფელ ჩაილურში ეზიარა, საკმაოდ მოკლე დროში დაიკვიდრა ღირსეული ადგილი უფროს კოლეგებს შორის.

წერილში „სიტყვა ქართულ ეტიუდზე“, რომელიც 1975 წელს დაიბეჭდა, კითხულობთ, რომ „გურგენიძეს ახასიათებს საუკეთესო ეტიუდისტების შემოქმედებითი ფონდის შესწავლისაკენ სწრაფვა. შრომისმოყვარეობაში მიზანდასახულობამ და საკმაო პრაქტიკულმა ძალამ ნიჭიერ ეტიუდისტს საშუალება მისცა სწრაფად გაევლო სასწავლო კურსი და მალე მიახლოებოდა ოსტატობის ზღურბლს. მისი სახით ქართულ კომპოზიციას ყავს საამედო შემოქმედებითი ძალა, რომელიც განუხრელად მიიწევს წინ საეტიუდო ხელოვნების მწვერვალებისაკენ“.

ამ სტრიქონების ავტორისათვის სასიამოვნო ფაქტია, რომ ახალგაზრდა კომპოზიტორის მისამართით წარმოთქმული სიტყვები სავსებით გამართლდა. უკანასკნელ ათწლეულში მის მიერ მოპოვებული გამარჯვებები მართლაც რომ შთამბეჭდავია.

თანამედროვეობის გამოჩენილი დიდოსტატის ჰენრიხ კასპარიანის შემდეგ, რომელიც გარკვეული ხნის მანძილზე აოცებდა საჭადრაკო სამყაროს თავისი სტაბილური საკონკურსო გამარჯვებებით, საბჭოთა კავშირს დავით გურგენიძის სახით მოევლინა მზარდი სპორტულ-შემოქმედებითი პოტენციალის მქონე ეტიუდისტი, რომელიც შესაშური საკომპოზიციო აქტიურობით გამოირჩევა და წარმატებათა საკმაოდ მყარი მაჩვენებლები აქვს. ამის დამადასტურებელია თუნდაც უკანასკნელ საკავშირო ჩემპიონატებზე მის მიერ მოპოვებული მედლების კოლექცია: ორ-ორი ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს მედლები.

როგორც ცნობილია, საჭადრაკო კომპოზიტორთა წარმატებების ერთადერთ ოფიციალურ აღმნუსხველს „ფიდეს ალბომი“ წარმოადგენს. ჟანრების მიხედვით მის ყოველ ტომში, რომელიც სამწლიან ციკლს მოიცავს, მხოლოდ სპეციალური კომპეტენტური ჟიურის (ოთხი კაცის — დირექტორის და სამი მსაჯის შემადგენლობით) მიერ შერჩეული საუკეთესო ნაწარმოებებია თავმოყრილი. ალბომის მიხედვით ხდება აგრეთვე ოსტატის და დიდოსტატის წოდებების მინიჭებაც. უკანასკნელ 5 ტომში (ასახავს 1968-1982 წლებს), რომლებმაც დ. გურგენიძეს საერთაშორისო ოსტატობა და სადიდოსტატო ქულები მოუტანეს, იგი მაღალი მაჩვენებლით — 47 დამოუკიდებელი და კოლექტიური ეტიუდით ანუ 63,33 ქულით (დიდოსტატობას 70 ქულა სჭირდება!) არის წარმოდგენილი. ხოლო სამ უკანასკნელ ალბომში აშკარად თავი იჩინა „გურგენიძის ფენომენმა“. აქ ქართველი ხელოვანი თავისებურ რეკორდსმენად მოგვევლინა — როგორც ნაწარმოებების რაოდენობით, ისე ქულებით მან მსოფლიოს ყველა ეტიუდისტს გაუსწრო: 1974-76 წლების ტომში შეკრიბა მისი 13 ეტიუდი, 1977-79 წწ. — 14, 1980-82 წწ. — 12. წარმატების ეს ფენომენი ალბათ იმითაც უნდა აიხსნას, რომ 35 წლის ავტორი, რომელიც შემოქმედებით სიმწიფის სტადიაში იმყოფება, ყოველდღიურ ცხოვრებაშიც უშუალოდ არის დაკავშირებული ჭადრაკთან, ხელმძღვანელობს საგარეჯოს საჭადრაკო კლუბს და მისი სამუშაო და დასვენების დროც მნიშვნელოვანწილად ჭადრაკს ეთმობა.

დ. გურგენიძე, 1981



ყაიმი

უკანასკნელ ალბომში შესული ეს ნაწარმოები გადადებულ პარტიას გვაგონებს. შავი ფიგურებისაგან შექმნილი ბატარეა მეტად ძლიერია და ლაზიერს თავშესაფარი სჭირდება. 1. ლh3+ მფg7 2. ლh5 (ერთადერთი უსაფრთხო უჯრა) კd2. შებოჭილ თეთრებს მხოლოდ პაიკთ სვლა დარჩათ. 3. h3! h6 4. h4 ეb2+! 5. მფa4 b5+ 6. მფa3 კc1. შავების ბატარეამ ქვემოთ ჩამოწია და თეთრებს თითქოს გამოუვალი მდგომარეობა აქვთ — არ შეიძლება 7. hg? ეh2+-ის გამო. სწორედ ეს ვარიანტი მიიღებოდა 3. h4? . სვლის შემდეგ. ახლა კი, ვინაიდან შავების პაიკი h6 უჯრაზე დგას, გადარჩენის შანსი არის: 7. ლg6+!! მფ:g6 8. h5+ და თეთრ მეფეს პატი აქვს. მახვილგონივრული ბრძოლა და მოულოდნელი დასასრული!

დ. გურგენიძე ნაყოფიერი კომპოზიტორია. დაბეჭდილი აქვს 400-მდე ეტიუდი, რომელთა შორის 150-მდე პრიზებით არის აღნიშნული მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ჩატარებულ კონკურსებზე. მისი შემოქმედებითი პორტრეტი ცალკე წერილს ღირსია. მოკლედ კი შეიძლება ითქვას, რომ მას იზიდავს როგორც კლასიკური მემკვიდრეობის ღრმა შესწავლის შედეგად „აღმოჩენილი“ იდეების თავისებური დამუშავება და სინთეზური ინტერპრეტაცია, ისე სპეციალურ მასალაზე დაყრდნობით მოძიებული ტაქტიკური და სტრატეგიული ჩანაფიქრის მაღალტექნიკური განხორციელება.

დ. გურგენიძე, 1988

ყაიმი

გავეცნოთ მის ერთ-ერთ უკანასკნელ ნაწარმოებს, რომელმაც გაზეთ „ჩერვონი გირნიკის“ უკანასკნელ XXIII ტურადიციულ კონკურსზე I პრიზი დაიმსახურა. 1. d7! მf6+ 2. მფf3! e1ბ+! (2. ...მ:d7 3. ეe4 ყაიმით) 3. მფe3! მ:d7. ორი ზედმეტი მხედარი მოგების საკმაო გარანტიაა, მაგრამ თეთრები მარცხს არ ურიგდებიან. 4. ეc8+ მფg7 5. ეc7 მg2+ (დაბმულ მხედარს შველა სჭირდება) 6. მფd3 მf4+ 7. მფc3 ეa3+ (7. ...მd5+ 8. მფb3) 8. მფc2! ეd3. როგორც იქნა შავებმა თავისი განწირული მხედარი დაიცვეს, მაგრამ 9. ეc4! ახლა საფრთხე მეორე მხედარს ემუქრება) ეf3 10. ეc7 ეd3 11. ეc4! პოზიციური ყაიმი. ოსტატურად შეთხზული მინიატურა, რომელშიც „გაცოცხლებული“ მხედარი აქტიურად თამაშობს, საეტიუდო რომანტიკის და კლასიკის საუცხოო ნაერთად წარმოგვიდგება.

დ. გურგენიძე არა მარტო ეტიუდში აქცენტებს საკომპოზიციო ნიშს. მისთვის უცხო არ არის საამოცანო ჟანრებიც, სადაც წარმატებები შეიძლება ვუწინასწარმეტყველოთ. საქართველოს ნაკრებ გუნდში, რომელიც, სამწუხაროდ, პრობლემისტების ნაკლებობას განიცდის ხოლმე, მას სხვადასხვა ჟანრის ამოცანაც შეუდგენია და ამით ხარვეზი შეუვსია. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონი და საერთაშორისო დიდოსტატის წოდების რეალური კანდიდატი მალე ახალი შემოქმედებითი და სპორტული გამარჯვებებით გაახარებს ქართული საჭადრაკო ხელოვნების თაყვანისმცემლებს.

ამოხსნა

„ლელოს“ 8 იანვრის ნომერში დაბეჭდილი ა. ნაგლერის სამსვლიანი ამოცანის ამოხსნაა: 1. ეb3! მფd5 2. ეc3!, 1. ...d5 2. ეb6! ეტლის ორი ლამაზი შეწირვა. ვაქვეყნებთ იმათ გვარებს, ვინც პირველმა გამოგზავნა სწორი პასუხი: რ. კაბიძე (ბათუმი), ზ. ბადუაშვილი (საკაძე, გარდაბნის რ.), მ. ყაულაშვილი (რუსთავი), ჯ. მაზათაძე (ზესტაფონი). ა. და მ. ჩაფიჩაძეები (თერჯოლა), ვ. ირემაძე, დ. და ო. მამულაშვილები (ყველა — თბილისი).

22 იანვრის ნომერში დაბეჭდილი კ. ბეტინშის სამსვლიანი ამოცანა, რომელიც პირველებმა ამოხსნეს გ. ელიოსიძემ (ბორჯომი), კ. არაბამიამ, ა. წეველიძემ (ორივე — თბილისი) შემდეგი შინაარსისაა: 1. მc6! კg1 2. ეbc2, 1. ...კf4 2. ლe3+! 1. ...მფ:c2 2. ეc2+.

უცხეირო დასაწყისი

პრაღა. დევისის თასის გათამაშება — მსოფლიოს არაოფიციალური გუნდური ჩემპიონატი ჩოგბურთელთა ერთ-ერთი უძველესი ტურნირია, რომელიც 1900 წლიდან სისტემატურად ტარდება. ყველაზე დიდი წარმატება მასში მოპოვებული აქვთ ამერიკელ ჩოგბურთელებს, რომლებიც გარდამავალ ჯილდოს 28-ჯერ ფლობდნენ, აგრეთვე ავსტრალიელებს (26), ფრანგებს (6), შვედებს (4) და ა. შ.

საბჭოთა კავშირის ნაკრების დებიუტი 1962 წელს შედგა, საუკეთესო შედეგს კი გუნდმა 1974 და 1976 წლებში მიაღწია, როცა უძლიერესთა ოთხეულში მოხვდა.

წლევანდელი გათამაშების სტარტზე ჩვენი მეტოქე ჩეხოსლოვაკიის ნაკრები გახლავთ. პირველი დღის შემდეგ მასპინძლები წინ არიან (2:0). მატჩის მოსაგებად მათ ერთი გამარჯვებაღა დარჩათ.

ერთეულთა შეხვედრებში კალინინგრადელი ალექსანდრე ვოლკოვი მილან შრაიბერგთან დამარცხდა — 6:3, 2:6, 1:6, 6:7, უფელი ანდრეი ჩერკასოვი კი ოლიმპიურ ჩემპიონთან მილოსლავ მეჩირჟთან — 5:7, 3:6, 6:3, 6:4, 4:6.

„სპორტპროგნოზი“, მეშვიდე ტირაჟის პროგრამა (11-12 თებერვალი)

		პროგნოზი		
სსრ კავშირის ჩემპიონატი შაიბიან ჰოკეიში (უმაღლესი ლიგა)				
1. „ავტომობილისტი“ (სვერდლოვსკი) — ახკ (ლენინგრადი)	11.II	60	10	30
2. „ტრაქტორი“ (ჩელიაბინსკი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი) —	11.11	40	30	30
3. „დინამო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (რიგა)	11.II	80	10	10
4. „ხიმიკი“ (ვოსკრესენსკი) — ცსკა	11.II	20	30	50
5. „კრილია სოვეტოვი“ (მოსკოვი) — „სოკოლი“ (კიევი)	12.II	60	20	20
სსრ კავშირის ჩემპიონატი ბურთიან ჰოკეიში (უმაღლესი ლიგა)				
6. „ზორკი“ (კრასნოგორსკი) — „დინამო“ (ალმა-ათა)	11.II	70	20	10
7. „ვოლგა“ (ულიანოვსკი) — „სიბსელმაში“ (ნოვოსიბირსკი)	11.II	60	30	10
8. „ლოკომოტივი“ (ირკუტსკი) — „იუნოსტი“ (ომსკი)	11.II	30	50	20
9. „სტროიტელი“ (სიქტივკარი) — ახკ (სვერდლოვსკი)	11.II	30	40	30
10. „დინამო“ (მოსკოვი) — ახკ (ხაბაროვსკი)	12.II	70	20	10
საფრანგეთის ჩემპიონატი ფეხბურთში				
11. „ბორდო“ — „ტულუზა“	11.II	40	50	10
იტალიის ჩემპიონატი ფეხბურთში				
12. „ვერონა“ — „იუვენტუსი“	12.II	20	30	50
ესპანეთის ჩემპიონატი ფეხბურთში				
13. „ოვიედო“ — „სევილია“	12.II	20	50	30

სპორტპროგნოზი

05 ტირაჟის შედეგები (28-29 იანვარი)

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტპროგნოზის“ მეხუთე ტირაჟის შედეგები, რომელიც 1989 წლის 28-29 იანვარს გაიმართა.

ტირაჟში დაშვებულია 4.052.733 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (1) მოგებამ შეადგინა 10.000 მანეთი, 12 შედეგის გამოცნობისთვის (29) — 4.647 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (309) — 1.712 მანეთი.

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

6 თებერვლიდან 11 მარტის ჩათვლით თბილისის სპორტულ ბაზებზე ჩატარდება კულტურის მუშაკთა პროფკავშირის თბილისის ორგანიზაციების მუშათა პირველი სპარტაკიადა.

პროგრამაშია: მინიფეხბურთი, ფრენბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, სროლა, სომძმეების აწევა, ცურვა, ველოსპორტი, მძლეოსნობა, ბაგირის გადაძალვა.

სპარტაკიადა საზეიმოდ გაიხსნება 6 თებერვალს, 16 საათზე, სპორტის სასახლეში.

ინდექსი 00486. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხიშარაულის ქ. 29. უე 07120